



გიორგი

ასანიძე

GIORGI ASANIDZE

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
ნუგზარ შატაიძე

TEXT
Nugzar Shataidze

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
ჯემალ კასრაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ალექსანდრე
კოტორაშვილი, გიორგი ჭანიშვილი, www.sportphoto.ge

PHOTO
**Jemal Kasradze, Avtandil Gurasashvili,
Aleksandre Kotorashvili, Giorgi Chanishvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Weightlifting Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3482-4

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



გიორგი ასანიძე

2011

სანამ ყველა სპორტსმენისათვის საოცნებო ოლიმპიურ მწვერვალს მიაღწევდა, გიორგი ასანიძემ რთული და სერიოზული დაბრკოლებებით სავსე გზა განვლო. ამ გზაზე მას მრავლად შეხვდა ტკივილიცა და გაჭირვებაც, ტანჯვაცა და სასონარკვეთაც, ტრავმებიცა და იმედგაცრუებაც, დოპინგსკანდალიცა და მავანთა მუხანათობაც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაუძლო — სძლია მრისხანე მეტოქეებსაც, რკინის უსულო შტანგასაც, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარ თავს და იმ მწვერვალზე ავიდა, საიდანაც ყველაფერი სულ სხვანაირად მოჩანს. სხვანაირია იქიდან დანახული სამყარო და, რაც მთავარია, საკუთარი თავი, რადგან უდიდეს გამარჯვებას მუდამ თან ახლავს სულიერი კათარზისი და ყველა ოლიმპიური ჩემპიონი, როგორც წესი, უკვე სხვა ადამიანია.

* * *

ძალოსნობა სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. საბერძნეთში, ოლიმპიის არქეოლოგიურ მუზეუმში, დღესაც ინახება 145, 5 კგ წონის წარწერიანი ლოდი, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში მცხოვრები ვინმე ბიბონი თურმე ცალი ხელით თავსზე-მით სწევდა.

სიმძიმეების აწევას საქართველოშიც ძველთაგან მისდევდნენ. სვანეთში, ხევსურეთში, ქართლსა და რაჭაში თითქმის ყველა რელიგიურ დღესასწაულზე იმართებოდა ტურნირები, სადაც მაშინდელი ათლეტები ერთმანეთს საჯილდაო ქვების აწევაში ეჯიბრებოდნენ. ასეთი ქვები აქა-იქ დღესაც ყრია საყდრების ეზოებსა და მათ შემოგარენში მიწაში ღრმად ჩაფლულნი და ხავსით შეხორხლილნი.

ძალოსნობის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი 1891 წელს ლონდონში ჩატარდა. 1896 წელს, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, ძალოსნები ერთმანეთს ორ სახეობაში ეჯიბრებოდნენ — სიმძიმის აწევაში





ცალი და ორი ხელით. პირველი ჩემპიონები გახდნენ ინგლისელი ელიოტი, რომელმაც ცალი ხელით ასწია 71 კილოგრამი და დანიელი იენსენი — 115 კილოგრამი ორივე ხელით.

საქართველოში ძალოსნობა 1910-იან წლებში დაინერგა. 1926 წელს ჩატარდა თბილისის პირველი ჩემპიონატი, ერთი წლის შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონატიც.

1950 წელს ევროპის ჩემპიონები გახდნენ თბილისელები რაფაელ ჩიმიშკიანი და ვლადიმერ სვეტილკო. ჩიმიშკიანი მსოფლიოს თერთმეტი რეკორდის ავტორია. 1952 წელს მან უდიდეს წარმატებას მიაღწია — ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალს დაეუფლა. 1972 წელს დიტო შანიძემ ევროპის, ხოლო ერთი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. იგი იყო ოლიმპიური თამაშების ორგზის მეორე პრიზიორიც (1968, 1972).

ქართული ძალოსნობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს: გიორგი ჩიკვაიძეს, კონსტანტინე ზაუტაშვილს, მამია ჟღენტს, დიმიტრი კაპცოვს, რობერტ ტატიშვილს, შოთა წერეთელს, გიორგი ჩიტაძესა და ორი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის — კახი კახიაშვილისა და გიორგი ასანიძის აღმზრდელ ვანო გრიქუროვს.

* * *

ვანო გრიქუროვი ცხინვალში დაიბადა, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, სპეციალობით ბიოლოგიის მასწავლებელია, მაგრამ, ყველას გასაკვირად, მსოფლიოში ცნობილი მწვრთნელი გახდა. როცა ამის შესახებ ვკითხე, ასეთი რამ მიაბო: „მე, საერთოდ, ავადმყოფი ბავშვი ვიყავი — გული მანუხებდა, სკოლა ისე დავამთავრე, რომ ფიზკულტურის გაკვეთილზე არ ვყოფილვარ. რაკი ფიზიკურ აქტიურობას ვერ ვახერხებდი, წიგნის

კითხვა შევიყვარე — იმ პერიოდში ძალიან ბევრს ვკითხულობდი. ერთხელ ხელში ჩამივარდა წიგნი, რომელიც ამერიკელი ძალოსნის, ტომი კონოს ცხოვრებას ეხებოდა. თურმე, ბავშვობაში, მასაც ზუსტად ის დაავადება ჰქონია, რაც მე, მაგრამ ვარჯიში დაუნყია და არა მარტო გამოჯანმრთელებულა, ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონიც გამხდარა.

ამან გულში იმედი ჩამისახა და გადავწყვიტე, მეც მისი მაგალითისთვის მიმებაძა. ცხინვალში იყო ძალოსნობის ძალზე პრიმიტიული დარბაზი, მაგრამ ახალგაზრდები მაინც ახერხებდნენ ვარჯიშს. მეც სწორედ იქ მივედი, მეზობლის ბიჭმა მიმიყვანა, მაგრამ პირველივე დღეს თავი შევირცხვინე — იმდენად სუსტი ვიყავი, რომ ცარიელი ღერძი ვერ ავნიე და გულგატეხილი და სასონარკვეთილი დავბრუნდი სახლში.

გადავწყვიტე, შინ მევარჯიშა.

წავედი სადგურზე, სადაც ჯართი ეყარა, იქ ორი რკინის ბორბალი შევარჩიე და წამოვიღე. შინ რომ მივიტანე, შიგ ხის ღერძი გავუყარე და დავინყე ვარჯიში. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ვიშოვნე ორი რკინის ბორბალი და ისინიც დავუმატე, ბოლოს კი ხის ნაცვლად ბორბლებს რკინის ღერძიც გავუყარე.

ასე ვწვრთნიდი საკუთარ თავს.

რა თქმა უნდა, არაფერი ვიცოდი, აზრზე არ ვიყავი, როგორ უნდა მევარჯიშა, რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ რაღაც იღუმალი ინტუიცია მშველოდა. ახლა რომ ვუკვირდები, მე საკუთარ თავში სპორტსმენს კი არა, მწვრთნელს უფრო ვზრდიდი.

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და რაც კი სიმძიმეები მქონდა, ერთ დღეს ყველაფერი ჩემს თვითნაკეთ შტანგაზე დავაყენე — გამოვიდა 66 კილოგრამი და ეს წონა თავისუფლად დავძლიე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — ექვსი თვის წინ ცარიელ, ოც-კილოგრამიან ღერძს ვერაფერი მოვუხერხე და ახლა ამხელა შტან-

გა ავნიე. მახსოვს, იმ დროს, ჩემზე ბედნიერი დედამინის ზურგზე არავინ მეგონა.

მეორე დღეს წავედი ისევ დარბაზში და როცა მწვრთნელი საკუთარ შესაძლებლობებში დავარწმუნე, სექციაში დიდი სიამოვნებით ჩამწერა. იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩავაბარე ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. თან ვსწავლობდი და თან ვვარჯიშობდი.

მალე რალაც პატარ-პატარა წარმატებებიც მოვიდა — გავხდი საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის, მაგრამ როგორც ახლა ვფიქრობ, დიდად სახარბიელო პერსპექტივები არ მქონია, რადგან ძალიან გვიან და ძალიან სუსტმა დავინწყე ვარჯიში. ვატყობდი, რომ ჩემგან ოლიმპიური ჩემპიონი და მეორე ტომი კონო არ დადგებოდა, ძალიან მწყდებოდა გული, მაგრამ რას ვიზამდი. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ 1972 წლის აგვისტოში, ნადირობისას, შემთხვევით, საკუთარი თოფით დავიჭერი და ჩემი სპორტული კარიერაც ამით დასრულდა.

მიუნხენის ოლიმპიადას საავადმყოფოს ტელევიზორში ვუყურე.

ძალიან მწყდებოდა გული. ისე ვიყავი ძალოსნობით „მონამლული“, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ყურებში სულ შტანგის ჯახა-ჯუხი მედგა.


საავადმყოფოდან გამოსულს ძალოსნობის სექციიდან შემომითვალეს — ჩვენი მწვრთნელი ჯარში გაინვიეს და დროებით შენ ხომ არ იმუშავებდიო. რა თქმა უნდა, ამ წინადადებას მაშინვე სიხარულით დავთანხმდი და 1973 წლის 15 იანვარს დარბაზის კარი პირველად შევაღე, როგორც მწვრთნელმა.

მართალი გითხრათ, თავიდან ძალიან გამიჭირდა. ჩემი, როგორც მწვრთნელის ძირითადი და უმთავრესი კონცეფცია გახლავთ ის, რომ მე და ჩემი აღსაზრდელი უსათუოდ გულითადი მეგობრები უნდა ვიყოთ, უამისოდ, დარწმუნებული ვარ, არაფერი გამოვა და ვერანაირ



*ყოველდღიური
მონოტონური და
მომქანცველი ვარჯიში
— ერთადერთი
გზა სპორტული
მწვერვალებისაკენ*

წარმატებას ვერ მიაღწევ. მაშინ კი სექციაში გაერთიანებული სპორტსმენები ვერაფრით დავიახლოვე. ისინი რაღაც უცხო სხეულად მთვლიდნენ, არ მენდობოდნენ, ზოგიერთმა მათგანმა მილალატა კიდევ — სხვა მწვრთნელთან გადავიდა სავარჯიშოდ. ისე, რომ საჭირო კონტაქტი ვერავისთან დავამყარე. ეს უნდობლობა იმით იყო გამოწვეული, რომ, ჯერ ერთი, ახალგაზრდა ვიყავი, მეორეც, არავითარი მნიშვნელოვანი მიღწევა სპორტში მე არ მქონია, მაშინ, როცა ჩემს გვერდით მწვრთნელად მუშაობდა ისეთი უძლიერესი სპორტის ოსტატი, როგორც იყო ჩემი ყოფილი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი გრიშა კოჩიევი და კიდევ, მეორე კოჩიევი — მსოფლიო რეკორდსმენი. ცხადია, მათი ავტორიტეტი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ჩემი — დამწყები მწვრთნელისა. ამას გარდა, მნიშვნელოვან



როლს თამაშობდა ჩემი ეროვნული წარმომავლობაც და მიუხედავად იმისა, რომ ოსურად ისევე სუფთად ვლაპარაკობ, როგორც ქართულად, რუსულად და პოლონურად ეს ბარიერი მაინც არსებობდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ისეთი მოსწავლე მეპოვნა, რომელთანაც საერთო ენას გამოვნახავდი, სულიერ კავშირსა და მეგობრობას დავამყარებდი. მალე ასეთი ბიჭიც გამოჩნდა. ეს 12 წლის კახი კახიაშვილი გახლდათ.

კახი პირველად ქუჩაში, ფეხბურთის თამაშის დროს შევნიშნე, მომეწონა მისი კოორდინაცია, დაველაპარაკე და ძალიან გამიხარდა, როცა ჩემი მეზობელი და შორეული ნათესავი გამოდგა.

შეიძლება ითქვას, რომ მე და კახი ერთად გავიზარდეთ — ის, როგორც სპორტსმენი და მე, როგორც მწვრთნელი“.

* * *

გავიდა ხანი და 90-იან წლებში, საქართველოს ძალოსნობის კაბადონზე კაშკაშა ვარსკვლავი ამობრწყინდა — კახი კახიაშვილმა 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადა საქართველოს სახელით მოიგო, მომდევნო ორ ოლიმპიურ თამაშებზე კი იგი საბერძნეთის სახელით გახდა ჩემპიონი.

ისე, რომ გიორგი ასანიძე ცარიელ ადგილზე არ მოსულა, მას რაფაელ ჩიმიშკიანის, დიტო შანიძის, კახი კახიაშვილისა და სხვათა სახით არაერთი ბრწყინვალე მაგალითი დახვდა.

ვანო გრიქუროვი: „ცხინვალში რომ ომი არ დაწყებულიყო, ალბათ, გიორგი ასანიძეს ვერც შევხვდებოდი. სამაჩაბლოში რომ სიტუაცია დაიძაბა, მე და კახი თბილისში ჩამოვედით და ვარჯიში აქ გავაგრძელეთ. გიორგიც სწორედ მაშინ გავიცანი — სუსტი, დამწყები სპორტსმენი იყო და ერთი რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა ჩემთან.

მერე ისე მოხდა, რომ მე და კახი აქაც ვერ გავჩერდით — არავითარი პირობები არ იყო, არა — შუქი, არა — წყალი, არა — გათბობა, ამიტომ ავდექით და რუსეთში წავედით, კერძოდ როსტოვში. ბარსელონის ოლიმპიადისთვისაც სწორედ იქ მოვემზადეთ.

თბილისში რომ დავრჩენილიყავით, დარწმუნებული ვარ, კახი ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გახდებოდა. უფრო მეტიც, როგორც სპორტსმენი, საერთოდ დაიკარგებოდა. მაშინ საქართველოში ისეთი ვითარება იყო, რომ სპორტისთვის მართლა არავის ეცალა.

ბარსელონაში საქართველოს სახელით გამოვედით და იქიდან კახი თბილისში ოლიმპიური ოქროთი დაბრუნდა.

მე ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად დამნიშნეს და გიორგი ასანიძეც სწორედ მაშინ შემოგვიერთდა. მასთან ერთად მოვიყვანე ყველა წამყვანი ქართველი ძალოსანი, რომლებსაც ვარჯიშისთვის თავი ჰქონდათ დანებებული. კახი კახიაშვილის უდიდესმა წარმატებამ ყველას იმედი ჩაუსახა გულში. სწორედ კახის დამსახუ-

რებაა ის, რომ საქართველოში ძალისხმევა კვლავ პოპულარულ სახეობად იქცა. მისი გამარჯვება აღმოჩნდა ის ბიძგი, რომელმაც ჩვენში ძალისხმევა გამოაცოცხლა და მკვდრეთით აღადგინა.

დავინყე მუშაობა ახალგაზრდებთანაც, რომელთა შორის გიორგი ასანიძეც იყო. ეს გახლდათ 1992 წლის სექტემბერი. გიორგი მანამდე ყველამ დაინუნა, მასში პერსპექტივა ვერავინ დაინახა და ამიტომ თავის ნებაზე იყო მიშვებული. არავინ არაფერში არ ეხმარებოდა — არც ინსტიტუტში, არც ჯარიდან განთავისუფლებაში და, რა თქმა უნდა, არც ნორმალური საყოფაცხოვრებო თუ სანვრთნელი პირობების შექმნაში. გუნდში მოსვლამდე იგი სანვრთნელ შეკრებაზე ერთხელაც კი არ ყოფილა.

ჩვენ სულ მალე გავუგეთ ერთმანეთს.

რალაც მოხდა, ალბათ, ყისმათი თუ იყო — როგორც, თავის დროზე, კახა ვიპოვნე, ისევე ვიპოვნე გიო ასანიძეც.

არავინ იცის, რა არის ინტუიცია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ფენომენი არსებობს. ეს გრძნობა პირადად მე ყოველთვის მკარნახობს, რა უნდა გავაკეთო და როგორ, მარტო ახალბედა სპორტსმენის შერჩევის დროს კი არა, თქვენ წარმოიდგინეთ, ინტუიცია წვრთნის პროცესშიც ძალიან მშველის. ხშირად ინტუიტიური გადაწყვეტილება უფრო სწორი და უტყუარი გამოდგარა, ვიდრე გონებაში მრავალჯერ ანონილი და გაზომილი.

მაგონდება პირველი შეხვედრა გიორგისთან: თვალეში როცა ჩავხედე, დავინახე მისი უდიდესი მონდომება და სურვილი. თვითონ არაფერს ამბობდა, მაგრამ სწორედ იმ კუნაპეტივით შავი თვალეებით მეხვეწებოდა, რომ უარი არ მეთქვა და გუნდში ამეყვანა. მას ჩვენთან ერთად, პირველ ყოვლისა კი კახისთან უნდოდა ყოფნა. სწორედ მისმა თვალეებმა დამარწმუნა იმაში, რომ ამ ბიჭისგან უსათუოდ კარგი სპორტსმენი დადგებოდა.

ავიყვანე და დავინყეთ ვარჯიში.





კოლეგები და მეგობრები
— სამე ზის ოლიმპიური
ჩემპიონი კახი კახიაშვილი
და ოლიმპიური ოქროსა
და ბრინჯაოს მედლების
მფლობელი გიორგი ასანიძე

ძალიან მოინდომა და სულ მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ახლა რომ ვფიქრობ, მის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ჩემი და კახის ურთიერთობამ შეასრულა.

ამას წინათ ერთი ფილმი ვნახე, სადაც ეკლესიის ზარებს ასხამენ. ჯერ ყალიბს აკეთებენ, მერე კი იმ ყალიბს გამდნარი ლითონით ავსებენ. ჩვენს შემთხვევაში ყალიბი იყო ჩემი და კახის ურთიერთობა, გიორგი კი ის გამდნარი ლითონი აღმოჩნდა, რომელმაც ეს ყალიბი მთლიანად და უზადოდ შეავსო“.

* * *

გიორგი ასანიძე დაიბადა 1975 წლის 30 აგვისტოს, საჩხერეში. ვარჯიში 10 წლისამ დაიწყო. მისი პირველი მწვრთნელი გოგი თოღაძე გახლდათ, 1992 წლიდან კი — ვანო გრიქუროვი. მალე გიორგი ზედიზედ ორჯერ, 1994-1995 წლებში ევროპის ჩემპიონატების მეორე პრიზიორი, ხოლო 1995 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის.

23 წლის ასაკში გიორგი ასანიძემ ევროპის პირველობის ვერცხლის მედალი მოიპოვა — მხოლოდ პირადი წონით წააგო ბულგარელ ზლატან ვანევთან. ერთი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე იგი მეოთხე იყო, ხოლო 2000 წლის ევროპის პირველობაზე „ოქროს“ დაეუფლა. იქვე მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში (181 კგ).

ვანო გრიქუროვი: „ჩვენი ურთიერთობის დაწყებიდან დიდი დრო არ გასულა, რომ გიოსა და ჩვენს შორის საოცარი გულისხმიერება და მეგობრობა დამყარდა. კახი ისე პატრონობდა, ისე ზრუნავდა მასზე, როგორც ნამდვილ მეგობარს შეეფერება. ასეთივე სულიერი ძმობა ჩამოყალიბდა ჩემსა და მას შორისაც. ისე ვუყუარებდი, როგორც საკუთარ შვილს, ძალიან ვენდობოდი, რაც არ უნდა ეთქვა,

ყველაფერს ვუჯერებდი და თვითონაც ამითვე მპასუხოვდა. ჩვენს შორის ამგვარი ურთიერთობა რომ არ შემდგარიყო, დარწმუნებული ვარ, ის დიდი წარმატებაც არ დაიბადებოდა, მით უმეტეს, რომ ჩემთან ძალიან გვიან მოხვდა — უკვე პირველთანრიგოსანი სპორტსმენი იყო, ნავარჯიშევი, მაგრამ უზადო ტექნიკით ვერ დაიკვებინდა, ამასთან მოქნილობაც აკლდა, თქვენ წარმოიდგინეთ, იდაყვის სახსრის მოქნილობა მხოლოდ 15 პროცენტი ჰქონდა, მეტი არა. რა ტექნიკა უნდა მიგესადაგებინა, რომ ეს ხარვეზები გამოგესწორებინა? მონდომებამ თავისი გაიტანა, ორივემ ძალიან მოვინდომეთ — მეც და გიორგიმაც“.

* * *

პირველ დიდ წარმატებას გიორგი ასანიძემ 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადის წინ მიაღწია — მან ბულგარეთში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა.

ისევ ვანო გრიქუროვს მოვუსმინოთ: „გიორგიმ ჯერ სანყისი წონა (172) დასძლია, მერე 177,5 აიტაცა და გადავწყვიტეთ, რომ მსოფლიო რეკორდზე მისულიყო — 181-ზე. არადა, ვგრძნობდი, რომ ცოტათი მოდუნდა, თვალეზში ჩვეული სხივი მოაკლდა, მაგრამ გაბერილი ბურთი რომ ოდნავ დაიჩუტება, ისე მოუვიდა. რალაცის თქმა იყო საჭირო, რალაც ისეთისა, რაც თავიდან აანთებდა და ბრძოლის ჟინით აავსებდა. გამალეზული ვფიქრობდი — რა მეთქვა ისეთი, არადა, ამ დროს, მწვრთნელის ერთმა სიტყვამ შეიძლება ან სულ გაანადგუროს სპორტსმენი, ანდა, პირიქით, ფრთები შეასხას. ეს მაგიური სიტყვა კი სულ რალაც ათიოდ წამში უნდა მომეფიქრებინა, რადგან გიორგის მსაჯებმა უკვე ფიცარნაგზე უხმეს. უეცრად, გონება გამინათდა: ვიცოდი, რომ გიორგიმ შინ ფეხმძიმე ცოლი დატოვა, ისიც წინასწარ ვიცოდით, რომ ბიჭი უნდა დაბადებულიყო და ვუთხარი: მოდი, გიო, ეს



გიორგი ასანიძე:
„სპორტში დიდი შრომის
გარეშე გამარჯვებას
ვერ მოიპოვებ, მაგრამ
ჩემს შედეგებს,
პირველ ყოვლისა, ვანო
გრიჭუროვს ვუმაღლი —
საოცარ მწვრთნელს და
პიროვნებას.“



ემზარ ზენაიშვილი და
გიორგი ასანიძე



*კახი კახიაშვილი
და ვანო გრიჭუროვი*

წონა შენს ჯერ არდაბადებულ ვაჟკაცს მიუძღვენი-მეთქი. შევატყე, როგორ აენტო, მკლავები როგორ დაეხორკლა და ის დაჩუტული ბურთი ბოლომდე რანაირად გაიბერა“.

გიორგიმ მაშინ 181-კილოგრამიანი შტანგა ბუმბულივით აიტაცა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. როგორც ჩანს, მწვრთნელის სიტყვას მართლაც მაგიური ძალა ჰქონია და, საერთოდაც, ნიჭიერი სპორტსმენი ვიოლინოს ჰგავს, მწვრთნელი კი მევიოლინეს. სტრადივარიუსის ვიოლინოს თავისი პაგანინი სჭირდება, რომ ინსტრუმენტი შესაფერი მთავონებითა და ემხით ააჟღეროს.

* * *

ძალოსნობის სპეციალისტები და ჟურნალისტები გიორგი ასანიძეს (85კგ) სიდნეის ოლიმპიური ფიცარნაგის ერთ-ერთ ძირითად ფავორიტად მიიჩნევენ. მათი ვარაუდით, პრიზიორობის გარკვეული შანსი მეორე ქართველ ათლეტს — მუხრან გოგიასაც (105 კგ) ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან პირველივე ცდაზე ტრავმა მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ოლიმპიურ ტურნირში ჩვენი ქვეყნის მესამე წარმომადგენელიც მონაწილეობდა, ეს გახლდათ 22 წლის ვალერიან სარავა (+105 კგ), რომელიც შედარებით მორიდებული შედეგების გამო მეორე ჯგუფში გაამწესეს.

სარავამ ორჭიდში 385 კილოგრამი მოაგროვა და საბოლოოდ მხოლოდ მეჩვიდმეტე ადგილზე გავიდა.

ისე, რომ ძალოსნობის ქართველ გულშემატკივართა მთელი იმედები მხოლოდ ასანიძეზე იყო. მის წონაში არაერთი ცნობილი და სახელგანთქმული ათლეტი ასპარეზობდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, უპირველესი იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბერძენი პიროს დიმასი, რომელმაც შეჯიბრების დაწყების წინ ჟურნალისტებს განუცხადა: „მე მოვიგე წინა ორი ოლიმპიადა, მესამე ოქროს კი სიდნიდან წავიღებ“.

ამავე წონაში გამოდიოდა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული, ირანელი შახ ნასირინია, აგრეთვე მსოფლიოს (1994) და ევროპის ორგზის (1998, 1999) ჩემპიონი, ატლანტის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ძალზე გამოცდილი გერმანელი მარკ ჰუსტერი და სხვები, სულ რვა კაცი.

საკვალიფიკაციო ცხრილი ასე გამოიყურებოდა: დიმასი — 392,5 კგ, ასანიძე, სპირო (საბერძნეთი) და ნასირინია — 390-390 კგ, ავსტრალიელი ჩახოიანი — 385 კგ, ჰუსტერი — 382,5 კგ.

ანონვის შედეგები კი ასეთი გახლდათ: დიმასი — 84,06 კგ, ჰუსტერი — 84,22, ასანიძე — 84,70, ნასირინია — 85.

ძალოსანის პირადი წონა რომ მნიშვნელოვანი და ხშირად გადამ-
წყვეტი ფაქტორია, გულშემატკივრებს ეს კარგად მოეხსენებათ, ამი-
ტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კენჭისყრის შედეგებიც. ამ მხრივ
მარკ ჰუსტერს არ გაუმართლა, ფავორიტაგან იგი იწყებდა, მერე
მოდიოდნენ ნასირინია, სპირუ და ასანიძე. ორგზის ოლიმპიური ჩემ-
პიონი პიროს დიმასი კი ფიცარნაგზე სულ ბოლოს უნდა გამოსული-
ყო, რის გამოც იგი გარკვეულ ხელსაყრელ მგომარეობაში იყო და თა-
ვიდანვე დამატებით უპირატესობას ფლობდა.

აქვე ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს: დიმასმა ისე მოიხვეჭა
სახელი, რომ მსოფლიოს არც ერთი რეკორდი არ დაუმყარებია. აკ-
ვრაში რეკორდი ჩინელ იონგ ჰანგს ეკუთვნოდა — 218 კგ, ატაცში კი
გიორგი ასანიძეს — 181 კგ.

23 სექტემბრის შეჯივრება სიურპრიზების კასკადით დაიწყო.

დარბაზში შეკრებილ ოთხიათას მაყურებელს პირველი სიურპრიზი
ირანელმა შახ ნასირინიამ შესთავაზა — ატაცში სანყისი წონა (175,0)
ვერ დაძლია, მარჯვენა იდაყვი დაიშავა და ტურნირს გამოეთიშა.

შეჯიბრების შემდეგ გიორგი ასანიძეს ჟურნალისტებისთვის უთ-
ქვამს: „ირანელი ყველაზე საშიშ მეტოქედ მიმაჩნდა. ამდენი შრომა
ერთბაშად წყალში ჩაეყარა. ამგვარი რამ ნებისმიერ ჩვენთაგანს შე-
იძლება შეემთხვეს. რას იზამ, სპორტია. თითქოს მოვდუნდი, ყურად-
ღება გამეფანტა. ასეთ დასაწყისს ნამდვილად არ მოველოდი“.

ატაცი ასანიძის კოზირია, ამიტომ გადაწყვიტა 177,5-ით დაეწყო,
მაგრამ ვანო გრიქუროვი ყოყმანობდა. დილით გიორგის მოელაპარა-
კა — იქნებ 175 სჯობდეს, ზედმეტ რისკს მოვერიდოთო. შეთანხმდნენ.

ასანიძისთვის ეს წონა ბევრს არაფერს ნიშნავდა, ამიტომ შტან-
გასთან თამამად მივიდა, ვერ მოზომა და წონა უკან გადაუვარდა

დიმასს უარესი დაემართა — დროში ვერ ჩაეტია და პირველი ცდა
(175,0) იმასაც წაუხდა.

ჰუსტერს 172,5 კგ პირველივე ცდაზე ჰქონდა დაძლეული და ამიტომ ჯერჯერობით ის ლიდერობდა.

ასანიძემ 175,0 მეორე ცდაზე დაიმორჩილა, დიმასს კი ისევ არაფერი გამოუვიდა. სამაგიეროდ, მესამე ცდა სამივე ფავორიტისთვის წარმატებული გამოდგა: ასანიძემ 180,0 კგ აიტაცა, ჰუსტერმა — 177,5, დიმასმა კი ის ფატალური 175,0.

მწვრთნელისა და სპორტსმენის ტანდემს — ვანო გრიქუროვსა და გიორგი ასანიძეს ატაცში 7,5-კილოგრამიანი უპირატესობის მოპოვება ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ გამოვიდა, ამის უარყოფითმა შედეგმა კი სულ ბოლოს იჩინა თავი.

თუმცა, სჯობს მოვლენათა განვითარებას თანამიმდევრულად მიყვებით.

ასანიძემ ატაცი კი მოიგო, მაგრამ მედლამდე ჯერ შორი იყო, რადგან ოლიმპიადაზე თითოეულ წონაში მედლების მხოლოდ თითო კომპლექტი თამაშდება, ყველაფერს ორჭიდის შედეგი წყვეტს.

თხუთმეტწუთიანი შესვენების შემდეგ აკვრა დაიწყო.


მარკ ჰუსტერის სამივე ცდა შედეგიანი გამოდგა. მან ჯერ 202,5 კილოგრამი აკრა, მერე — 207,0, ბოლოს — 212,5, ორჭიდის ჯამში 390,0 კგ დააგროვა და საკვალიფიკაციო შედეგი მთელი 12,5 კილოგრამით გააუმჯობესა.

ასანიძემ თავიდანვე 210,0 შეუკვეთა და იოლადაც დაძლია. ასევე მოიქცა პიროს დიმასი, ეს წონა მანაც პირველივე ცდაზე დაიმორჩილა.

მეორე ცდაზე გიორგიმ 5 კილოგრამი მოამატებინა. არც ერთ ოფიციალურ შეჯიბრებაზე მას 215 კილოგრამი არ დაეძლია, მაგრამ ახლა ასე იყო საჭირო, რადგან ოლიმპიური ოქროს მედლის ბედი სწორედ ამ წონაზე იყო დამოკიდებული.

ასანიძემ შტანგა მკერდამდე სულ იოლად აიტანა, მაგრამ სამწუხაროდ მეტი ველარ შეძლო.

ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი იგონებს:



*გიორგი ასანიძემ სამჯერ
მოიპოვა ევროპის
ჩემპიონის ტიტული*

„ჩემს გვერდით ავსტრალიელი იურიკ სარქისიანი იჯდა — სომეხი ძალოსანი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ხუთი ოლიმპიადის მონაწილე. აი, რა მითხრა მან: „ასანიძე ამ წონის ლიდერია, ყვლაზე უკეთაა მომზადებული. ვარჯიშებზე ვაკვირდებოდი, მაგარი ბიჭია. ახლა ცოტას ნერვიულობს, აკვრის პირველ ნაწილში ყველაფერი სწორად გააკეთა, მაგრამ მერე იჩქარა, კარგად არ შეემზადა. მაინც მგონია, რომ ჩემპიონი გახდება“.

ახლა ასანიძესაც მოვუსმინოთ: „თავიდან პრობლემა არ მქონია, შტანგა წინა წონაზე უფრო მემატა, მაგრამ მერე ერთბაშად დამანვა და ამიტომ ვიჩქარე — არ გამთიშოს-მეთქი. ვერ ავქაჩე, ტრავმირებულიმა მარჯვენამაც მიმტყუნა“.


დიმასს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ 215 კილოგრამი მაინც აიღო. ახლა სამივეს — ჰუსტერს, დიმასსა და ასანიძეს ორჭიდის ჯამში 390-390 კილოგრამი დაუგროვდა, მაგრამ გიორგი ორივე მეტოქეზე მძიმე იყო და ამიტომ, ჯერჯერობით, მხოლოდ მესამე ადგილზე იმყოფებოდა. სამაგიეროდ, მას ერთი ცდა კიდევ ჰქონდა, თუმცა, სამწუხაროდ, არც იმ ბოლო ცდამ გაუმართლა.

ყველაფერი დამთავრდა.

გიორგი ასანიძე იმ საბედისწერო პირადი წონის გამო მესამე ადგილზე დარჩა, ჰუსტერი ვერცხლის მედალს დაეუფლა, პიროს დიმასი კი მესამედ გახდა ოლიმპიადის ჩემპიონი.

გიორგი ასანიძე: „ყველამ იცოდა, რომ მზად ვიყავი უმაღლესი შედეგისათვის. კიდევ როდის მექნება ასეთი შანსი? ჩემი ბრალია ყველაფერი, მე წავაგე, მე ვერ ავნიე წონა. დიმასმა კლასით მაჯობა და ამას არც ვმაღავ. უდიდესი გამოცდილების სპორტსმენია. ატაცში თითქმის გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ მაინც გამოძვრა. განა არ ვიცი, რომ ოლიმპიური მედალი პატარა საქმე არ არის, მაგრამ ჩემპიონი მაინც ჩემპიონია. ჩვენც ეს მიზანი გვქონდა, მაგრამ არ გამოვიდა. საკუთარ თავზე არაფერს ვამბობ, ბატონი ვანოს ამხელა შრომა მენანება. ის მეტის ღირსი იყო: ამდენი წელი თავს მევლებოდა, შვილივით მივლიდა“.

ოლიმპიადაზე გამარჯვებისათვის დიმასი ბერძნებმა მილიონი ამერიკული დოლარით დააჯილდოეს. მან განაცხადა: „ყველაზე მეტად აქ, სიდნეიში გამიჭირდა. ამიტომაც, განსაკუთრებით ძვირფასია ეს მედალი. პირველი ბერძენი ვარ, ვინც სამი ოლიმპიური ოქრო მოიგო, მაგრამ ვეცდები ამ შედეგის გაუმჯობესებას. ამის გაკეთება ოთხი წლის შემდეგ, ათენში მომიწევს“.



ვანო გრიჭუროვი:
 „მაგონდება პირველი შეხვედრა გიორგისთან — თვალეებში როცა ჩავხედე, დავინახე მისი უდიდესი მონდომება და სურვილი. თვითონ არაფერს ამბობდა, მაგრამ სწორედ იმ კუნაპეტივით შავი თვალეებით მეხვეწებოდა, რომ უარი არ მეთქვა და გუნდში ამეყვანა. მას ჩვენთან ერთად, პირველ ყოვლისა კი კახისთან უნდოდა ყოფნა. სწორედ მისმა თვალეებმა დამარწმუნა იმაში, რომ ამ ბიჭისგან უსათუოდ კარგი სპორტსმენი დადგებოდა.“

ელგუჯა ბერიშვილი: „ადგილები განაწილდა, მედლები დარიგდა, მაგრამ რამდენიმე კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. ეს კითხვები უმთავრესად ასანიძის გამოსვლას ეხება, უფრო სწორად აკვრისას არჩეულ ტაქტიკას. რატომ შეუკვეთეს 215,0 და არა 212,5? რამდენად გამართლებული იყო ასეთი რისკი, როცა ოლიმპიური ოქროს ბედი წყდებოდა?“

ვანო გრიქუროვი: „მწვრთნელი შეჯიბრებას კულისებიდან უყურებს და არა ტრიბუნიდან. აქ სულ სხვა ვითარებაა და რიგით გულშემატკივარს ამის გაგება გაუჭირდება. ჩვენ გადაწყვეტილებას ვღებულობთ როგორც შეჯიბრებამდელი, ასევე ტურნირის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. გიორგიმ რამდენიმე თვის წინ, პოლონეთში 217,0 აკრა, ახლა კი მზად იყო 220,0-ის ასანევად. ამას ყველა ხედავდა და ამიტომაც უფრო ხოცდნენ. ჩემი ჩანაწერები რომ ნახოთ, გაცდებით — ასეთ დონეზე სპორტსმენი არასოდეს მომიზადებია, თვით კახიაშვილიც კი. ამიტომაც, ბუნებრივია, ოქროს ვეგემავდით და ამ გეგმის მიხედვით ვმოქმედებდით. აქ ყველაფერი გასათვალისწინებელია: სპორტსმენის ქცევა, რეპლიკა, ჟესტი... როცა დავრწმუნდი, რომ დიმასი მზად იყო 217,5-ის ასანევად, ამის შემდეგ შევუკვეთე 215,0 მეორე ცდაზე. სამწუხაროდ, გიორგი ვერ განეწყო და ამის გამო ვერ აიღო წონა. თუ რაიმე შეცდომაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს ატაცზე ითქმის. ალბათ, 177,5-ით უნდა დაგვეწყო — ასე აჯობებდა. ისე, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება. არა მგონია, ჩემზე მეტად ვინმეს ნდომებოდა გიორგის ჩემპიონობა“.

* * *

2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ანთალიაში, ნოემბრის თვეში გაიმართა. ტურნირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ის, რომ სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, საბერძნეთის წარმომად-

გენელმა, მაგრამ წარმოშობით ალბანელმა პიროს დიმასმა შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი აარიდა — როგორც ამბობდნენ, სათანადოდ არ იყო მომზადებული, იცოდა, რომ ჩემპიონი ვერ გახდებოდა და ფიცარნაგზე წასაგებად გამოსვლას, ანტალიაში ჩაუსვლელობა ამჯობინა.

მაგრამ ამ ფაქტს საჩემპიონატო დაძაბულობა სრულიადაც არ მოუხსნია. სამაგიეროდ, ანთალიაში ჩავიდნენ: ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური ვერცხლის მედლის ორგზის მფლობელი, გერმანელი მარკ ჰუსტერი, ირანელი მსოფლიოს ჩემპიონი შახ ნასირინია, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გარდევი და კიდევ, რაც მთავარია, ბრწყინვალედ მომზადებული რამდენიმე ახალგაზრდა ძალოსანი. ისე, რომ თუკი სიდნეიში ოლიმპიურ ჩემპიონობაზე პრეტენზიას ძირითადად სამი რეალური კანდიდატი აცხადებდა, ანტალიაში პირველობისათვის, სულ ცოტა, ხუთი სპორტსმენი მაინც იბრძოდა.

გიორგი ასანიძემ ამ შეჯიბრებაზე ორჭიდის ჯამში 390 კილოგრამი დააგროვა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ეს განსაკუთრებული წარმატება გახლდათ, რადგან დიტო შანიძის შემდეგ, მთელი 28 წლის მანძილზე, ჩვენი არც ერთი სპორტსმენი არ მდგარიყო გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ისიც სათქმელია, რომ ამ რანგის შეჯიბრებაზე, ქართველი ძალოსანის საპატივცემოდ, პირველად აჟღერდა დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნი და პირველად აღიმართა ჩვენი სახელმწიფოს დროშა.

ამის შემდეგ, გიორგი ასანიძემ ზედიზედ კიდევ ორჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონატი — 2001 და 2002 წლებში, მაგრამ იმ საბედისწერო პირადი წონის გამო 2002 წლის მსოფლიო პირველობაზე კვლავ ხელი მოეცარა და მხოლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა. თუმცა სჯობს თვითონ გიორგის მოვუსმინოთ:



„ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კარგა ხანს ვიყავი პოლონეთში სანვრთნელ შეკრებაზე, სადაც მაშინ ჩემი მწვრთნელი ვანო გრი-

ქუროვი ცხოვრობდა და მუშაობდა. ფსიქოლოგიურად კარგად მოვემზადე, მაგრამ იდაყვისა და ფეხის ტრავმამ იმის საშუალება არ მომცა, რომ მაქსიმალური დატვირთვით მევარჯიშა. თუმცა, შეჯიბრებისთვის მაინც ისე კარგად ვიყავი მომზადებული, რომ ჩემპიონობა უნდა მომეპოვებინა. ატაცში პირველი ცდისას მიუტევებელი შეცდომა დავუშვი — 172,5 ვერ დავძლიე. პოლონელებმა ფიცარნაგი ასპარეზობისათვის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ვერ მოამზადეს. ჩემამდე რამდენიმე სპორტსმენი გამოვიდა. ეტყობა, სიმძიმემ ახლადდაგებულ იატაკზე იმოქმედა და ჩაზნიქა. მე ეს ვერ გავითვალისწინე და შტანგამ ატაცისას წინ გადამძალა. არადა, მომდევნო ცდაზე, სულ იოლად დავიმორჩილე 177,5 კილოგრამი. პირველი ცდის წარუმატებლობა რომ არა, მესამე ცდაზე 183 კილოგრამი, ანუ მსოფლიოს რეკორდი უნდა შეგვეკვეთა. ვფიქრობ, მისი დაძლევაც შემძლო. მართალია, ვარჯიშის დროს დიდ წონებზე არ მივდივარ, მაგრამ სასინჯად არაერთხელ ამიტაცია 182,5 კილოგრამი, 217,5 კი ამიკრავს. ჩემი მიზანია ოფიციალურ შეჯიბრებებზეც ვაჩვენო ეს შედეგი და ორჭიდის ჯამში მსოფლიოს ახალი რეკორდი (400 კგ) დავამყარო.


აკვრაში კუროზული შემთხვევა მოხდა: პირველ ცდაზე მსაჯებმა 202,5 კილოგრამი არ ჩამითვალეს. მეც და სპეციალისტებმაც რამდენჯერმე ვნახეთ ამ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი, მაგრამ წესების დარღვევა ვერ შევნიშნეთ, არბიტრებმა კი მითხრეს, მხარი გიმოდრავებდაო. მოძრაობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აკვრისას შტანგა მარჯვნივ რომ გამექცა, მხარი გვარიანად მეტკინა. ბატონი ვანო და ჩვენი ექიმი ფიცარნაგზე აღარ მიშვებდნენ, მაგრამ დიდი ხვეწნის შემდეგ, როგორც იქნა დავითანხმე. მართალია, 207,5 აკვარი და ორჭიდის ჯამში 385 კგ მოვაგროვე, მაგრამ ეს ჩემპიონობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ბულგარელმა ზლატან ვანევმაც იგივე შედეგი აჩვენა და პირადი წონის წყალო-



სიდნის ოლიმპიურ
თამაშებზე ბერძენ
პიროს დიმასს,
გერმანელ მარკ ჰუსტერს
და გიორგი ასანიძეს
ორჭიდის ჯამში 390-390
კილოგრამი დაუგროვ-
დათ, მაგრამ გიორ-
გი ორივე მეტოქეზე
მძიმე იყო და ამიტომ,
საბოლოოდ, მესამე
ადგილზე დარჩა.



სიდნეის ოლიმპიურ
ფიცარნაგზე,
2000 წელი



გიორგი ასანიძემ
მესამე ცდაზე
180 კგ აიტაცა.
სიდნეი, 2000 წელი

ბით დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“).

ერთხელ, ჩემი უცოდინრობის გამო, ვანო გრიჭუროვს ვკითხე: კი მაგრამ, რა გახდა ეს ფატალური პირადი წონა, ყოველთვის ისე რატომ ხდებოდა, რომ თანაბარი შედეგების შემთხვევაში გიორგი მუდამ პირადი წონის გამო იჩაგრებოდა, ნუთუ არ შეიძლებოდა იმ რაღაც 400 თუ 500 გრამის დაკლება-მეთქი.

ვანოს მიმტევებლურად გაელიმა: „არა, ეგრე არ არი, ეგრე ადვილი არ არი — დაიკლებ წონას და წონით მოიგებ, მაგრამ მეორე მხრივ, წონას რომ იკლებ, სუსტდები. თანაც, აწონვის დროს, შენ არ იცი, მო-



წინააღმდეგე რამდენს იწონის, ამიტომ ჩვენ მუდამ ვცდილობდით, რომ ოპტიმალური წონა დაგვეცვა — რაც შესაძლებელია ნაკლები, ოღონდ იმდენად ნაკლები, რომ არ დასუსტებულიყო. ერთგვარი ლატარეა გამოდის — შენი პირადი წონა კი იცი, მაგრამ არ იცი, რას იწონის მოწინააღმდეგე“.

* * *

პოლონეთის მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული მხრის ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა, არადა, ათენის ოლიმპიადა კარს იყო მომ-

*სიდნის ოლიმპიური
კვარცხლბეკი (მარცხნიდან):
მარკ ჰუსტერი,
პიროს დიმასი და
გიორგი ასანიძე*

დგარი. ექიმებმა გიორგის ურჩიეს მოსკოვში წასულიყო. იქ სამი თვე იმ-კურნალა, მაგრამ ქირურგიული ჩარევა მაინც აუცილებელი გახდა.

გამოშუშდა თუ არა, მაშინვე ვარჯიშს შეუდგა — ისევ პოლონეთში, ისევ ვანო გრიქუროვთან, რომელიც მაშინ იმ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა.

ქალაქ ჩეხანოვის ძალოსნობის კომპლექსში საკმაოდ ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი — დარბაზი თბებოდა, საშხაპე შეუფერხებლად მუშაობდა, ინვენტარსაც არაუშავდა.

ვანო გრიქუროვი: „პოლონეთში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჩემმა მეგობარმა ზიგმუნდ სმალცერმა მიმიწვია. ზიგმუნდი ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო და მთხოვა, მის ასისტენტად მემუშავა. პოლონეთის ოლიმპიურ ნაკრებს ერთად ვამზადებდით. მაშინ ატლანტის ოლიმპიადიდან ბრინჯაოს მედალი ჩამოვიტანეთ, რაც პოლონელებსათვის ძალზე მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

იმ დროს გიორგის დოპინგ-კონტროლთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ამ თემაზე მიჭირს ლაპარაკი, რადგან ჩემზე, ისევე, როგორც გიოზე, ეს მოგონებები მძიმედ მოქმედებს. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ იმ შემთხვევაში გიორგი ასანოძე სუფთა იყო, მას უბრალოდ ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონია და თურმე რაღაც პრეპარატებით მკურნალობდა, რომლებსაც დოპინგზე შემონმების დროს სისხლში საექვო ცვლილებები უჩვენებია. ერთი სიტყვით, პოლონეთში მომივიდა გიორგის მიერ გამოგზავნილი ფაქსი — დოპინგზე მოვხვდი და მიშველე რამეო. რა უნდა მეშველა? მაშინვე ტელეფონით დაუკავშირდი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ აიანს, რომელთანაც ახლო ნაცნობობა მქონდა, მაგრამ მან იმედი გადამიწურა — ტყუილად წვალობ, მაგ საქმიდან არაფერი გამოვაო.

მაშინდელი წესების თანახმად, გიოს სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა.

დავურეკე და, სხვა რა გზა მქონდა, ყველაფერი გულახდილად ვუთხარი. საშინელ ფსიქოლოგიურ შოკში ჩავარდა, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, სპორტს ხომ საერთოდ დაანება თავი. სწორედ იმ დროს ცოლიც შეირთო, დაოჯახდა, ეკონომიურად ძალიან გაუჭირდა, კაპიკი შემოსავალი არსაიდან ჰქონდა. ატლანტის ოლიმპიადაზე შევხვდი კახი კახიაშვილს, ველაპარაკე გიორგის დუხჭირ ყოფაზე, ვთხოვე, იქნებ საბერძნეთში მაინც წაიყვანო, რაიმე სამსახური უშოვნო-მეთქი.

ჩვენდა საბედნიეროდ, ოლიმპიადის შემდეგ, ამნისტია გამოვიდა: დოპინგის ხმარებაზე ეჭვმიტანილ სპორტსმენებს შეეძლოთ ყველაფერი თავიდან, ე. წ. „სუფთა ფურცლიდან“ დაენწყოთ. მაშინვე გიორგის დავურეკე, ეს ახალი ამბავი ვახარე და ვუთხარი, რომ სასწრაფოდ ვარჯიშს შესდგომოდა.

1997 წლის გაზაფხულია. თბილისში ვარჯიშის ელემენტარული პირობებიც კი არ არის. გიო ძალიან ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. დავურეკე კახი კახიაშვილს და ვუთხარი — გიორგი ასანიძის წამოყვანა მინდა პოლონეთში და იქნებ დაეხმარო-მეთქი. კახიმ რაღაც გარკვეული თანხა გამომიგზავნა, რომლითაც გიორგი რამდენიმე თვის განმავლობაში თავს გაიტანდა.

ერთი სიტყვით, ჩამოვიყვანე პოლონეთში და დაიწყო სერიოზული ვარჯიში. კახის მიერ გამოგზავნილი ფული რომ გამოგვეღია, იმ კლუბის პატრონი დაგვეხმარა, სადაც მე ოლიმპიადის შემდეგ ვმუშაობდი.

ასე გაიარა შვიდმა თვემ.

გიორგი ჩვენი კლუბის — „მაზოვიას“ ნევრი გახდა და სამჯერ მოიგო პოლონეთის გუნდური ჩემპიონატი. სულ მალე ისეთ ფორმაში შევიდა და იმ შედეგებს მიუახლოვდა, რომლებიც ოლიმპიადაზე მედლების მოპოვების საშუალებას იძლეოდა. ისე, რომ პოლონელების მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, ძალიან კარგად მოგვეცნენ. ისინი, რომ არა, გიორგის ასეთ წარმატებებს ვერ მიაღწევდა“.

* * *

მაშინაც და მერეც, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, გიორგი ასახიძე პოლონეთში ჩვეული გულმოდგინებით ვარჯიშობდა. მხრის ტკივილი არ ეშვებოდა, მაგრამ ითმენდა, ყველაფერს ჯიუტად უძლებდა. უკვე გამოცდილი ოსტატი იყო და იცოდა, რომ ტანჯვის გარეშე არაფერი გამოვიდოდა, დიდ შედეგს სხვანაირად ვერ მიაღწევდა.

ვანო გრიქუროვი: „გიორგის ტრავმების ამბავი საქვეყნოდ არის ცნობილი, მე მხოლოდ ერთ ადრინდელ შემთხვევას გავიხსენებ. 1998 წლის ოქტომბერია, ნოემბერში გველოდება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ფინეთში, ქალაქ ლახტში უნდა ჩატარდეს. მე ჩემს პოლონელ სპორტსმენებთან ერთად სამი დღით შეჯიბრებაზე წავედი, გია დავტოვე და სულ წვრილად ჩამოვუნერე, რა უნდა გაეკეთებინა, როგორ უნდა ევარჯიშა. სამი დღის შემდეგ დავბრუნდი და რა დამხვდა: საშინელი ტრავმა მიუღია — ხერხემლის მალა აქვს ამოვარდნილი. არა, ამაში გიოს არ ვადანაშაულებ, ასეთი რამ ხდება ხოლმე. მოთელვაზე, როგორც კი შტანგის ასანწევად დახრილა, მაშინვე მოცეკვილივით წაქცეულა.

ელდა მეცა — ამდენი შრომა წყალში ჩაგვეყარა, მსოფლიო ჩემპიონატი კარზეა მომდგარი და ასეთი ტრავმით ფინეთში წასვლას რა აზრი აქვს. რალა უნდა გვექნა, მალა ადგილზე ჩავუსვით, ვუმკურნალეთ, მაგრამ საშინელი ტკივილები ანუხებს და ფეხზე ვერ დგება.

გავიდა ერთი კვირა და როგორც იქნა ნელ-ნელა დაწოლილი აჭიმვები გააკეთა, მერე თანდათანობით ფეხზეც წამოდგა, გაიარ-გამოიარა.

წავედი და ინვალიდების კორსეტი ვუყიდე, ჩავსვით ამ კორსეტში, გავუჭირეთ თასმები და არაუშავს, დაინყო მსუბუქი ვარჯიში.

გავიდა კიდევ ორი კვირა, მსოფლიო ჩემპიონატამდე სამი კვირალა რჩება, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა — კაცი ინვალიდია. მაინც ვარჯიშობს, რა თქმა უნდა, სერიოზულ წონებზე ვერ მიდის, რალაც 40-50 პროცენტს სწევს და არის ასე.



გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე მითხრა, მოდი, აბა, უკორსეტოდ ვცდიო, მოიხსნა და 50 კილო ვერ ასწია. ორნაირი შიში აქვს — ერთი ტვინში, რომლის დაძლევაც იოლია, მეორე მთავარი შიში კი კუნთში აქვს, კუნთია დაშინებული, რომელსაც ფსიქოლოგიურად ვერ დაძლევ, თავისით უნდა გაიაროს.

ბილეთები აღებული გვაქვს. ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი და გავემგზავრეთ. მივდივართ მატარებლით და ვფიქრობ, სად მივდივართ, რა გვინდა, რა უნდა გავაკეთოთ-მეთქი.

*კახი კალაძე და
გიორგი ასანიძე*

როგორც იქნა, ჩავედით.

გიორგის ერთი კარგი თვისება აქვს, როგორც კარგი, ჯიშინი ცხენი ენთება სარბენი ბილიკის დანახვაზე, შეჯიბრების დროს ისიც ისევე გამოცოცხლდება ხოლმე. ფინეთშიც ეგრე მოუვიდა — გახალისდა, შეიცვალა, თვალებიდან სულ ნაპერწკლებს ყრის. ჩემდა გასაკვირად, საკვალიფიკაციოდ 150 კილოგრამი აიტაცა. არადა მსოფლიო რეკორდი მის წონაში (77) 167,5 კილოგრამია. მინდა სანყისი წონა 155 დავაყენო, რადგან ვფიქრობ, საბოლოოდ 160 თუ აიტაცა, მის მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის, დიდი მიღწევა იქნება.

ანონვის შემდეგ ვეკითხები, გიო, სანყისი რამდენი დავაყენოთ-მეთქი და — 165-ო! დიდი კამათის შემდეგ მოვრიგდით, რომ 160 დაგვეყენებინა.

მიდის ფიცარნაგისკენ და ცოტა ვკანკალებ, მეშინია.

მივიდა და ეს 160 დააჯინა! — ჩაუთვალეს.

165-ზე წავიდა — ისიც აიტაცა და მეუბნება, მსოფლიო რეკორდზე მივიდეთო.

დავაი-მეთქი!

დააყენეს 168 კილოგრამი, მივიდა და ძლივას, მაგრამ გაჭედა, რა! ქვეშ შეძვრა, თორემ ერთი მილიმეტრით რო დაბლა ყოფილიყო, გაჭყლეტავდა. მსოფლიო რეკორდი დაამყარა ინვალიდმა კაცმა, ოქროს მედალი აიღო — ტყუილად არ წავსულვართ.

აკვრაში ცოტა გაუჭირდა, რადგან ამ მოძრაობაში ფეხის ძალაა გადამწყვეტი, ფეხები კი, ბოლო ერთი თვის მანძილზე, საერთოდ არ ჰქონდა ნავარჯიშევი.“

* * *

2004 წლის 21 აგვისტო. ათენი. მთელი საბერძნეთი პიროს დიმასის მეოთხე ოლიმპიურ ოქროს ელოდებოდა. მობილიზებული იყო პრესა, ტელევიზია. დარბაზში დიმასის ოჯახი მოიყვანეს და ტრიბუ-

ნაზე საპატიო ადგილი მიუჩინეს. ქუჩაში საზეიმო ფეიერვერკი მზადდებოდა. ომონიას მოედანზე საკონცერტო სცენა მოეწყობა. მუსიკოსები უკვე სასირტაკედ აწყობდნენ ინსტრუმენტებს. ერთი სიტყვით, თავისი კერპის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

ყველამ იცოდა, რომ დიმასის ერთადერთი კონკურენტი გიორგი ასანიძე იყო, სხვას სათვალავში არავის აგდებდნენ. მსოფლიო მნიშვნელობის გრანდები — მარკ შუსტერი და შახ ნასირინია ოლიმპიურ ტურნირში აღარ მონაწილეობდნენ.


მაგრამ ვანო გრიქუროვის თქმისა არ იყოს, ტრიბუნიდან ყველაფერი სხვანაირად მოჩანს.

სპეციალისტების აზრით, ამ წონაში, სულ ცოტა, 5-6 სპორტსმენს მაინც შეეძლო მედლებისათვის ბრძოლა. მათ შორის, დიმასისა და ასანიძის გარდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ბერძენი მარკოულასი, ბელარუსი რიბაკოვი, ჩინელი იუანი და ავსტრალიელი სერგო ჩახოიანი.

მართლაც, მოვლენები ისე განვითარდა, რომ თავიდან აშკარად არავინ დანინაურებულა. ბრძოლა ფარული ტაქტიკით მიმდინარეობდა, მეტოქეები მეთოდურად, მკაცრი გათვლებით უკვეთავდნენ წონებს, რამაც შეჯიბრება და ტურნირის მონაწილეთა ნერვები უკიდურესობამდე დაძაბა.

ვანო გრიქუროვი: „იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ ძალოსნობას სიმფონიას ვადარებ. იქ ყველა მუსიკალური ნოტი, ყოველი ბგერა თავის ადგილზე ზის. შეჯიბრების მიმდინარეობის პროცესში მწვრთნელი ისევე ზუსტად უნდა გრძნობდეს ყოველ ნიუანსს, როგორც სიმფონიის შესრულებისას დირიჟორი. როცა მოვლენებს მართავ, ამ მუსიკის რიტმი უნდა შეიგრძნო და ყოველ ნოტს თავისი ადგილი მიუჩინო. მაშინ შეცდომაც ნაკლები მოგივა.“

ათენში სიტუაცია მეტისმეტად რთული იყო და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რთულდებოდა. სანყისი წონები ისედაც



გიორგი ასანიძეს
ტრაგემა მუდმივად თან
სდევდა, მაგრამ ტკივილს
ჯიუტად უმკლავდებოდა



ძალიან დიდები შეუკვეთეს, მერე და მერე კი ნელ-ნელა უფრო მოუმატეს.

მე, რა თქმა უნდა, კარგად ვიყავი ინფორმირებული — ვიცოდი ყოველი მონაწილის შედეგი, ანუ ის, თუ ვის რა წონა ჰქონდა დაძლეული ვარჯიშებზე, მაგრამ, რასაკვირველია, წარმოდგენა არ მქონდა, რა მომენტში მოვიდა ესა თუ ის სპორტსმენი შეჯიბრებაზე, როგორ კონდიციაზე იყო, მოხვდა თუ არა პიკში. ამიტომ იმ საწყისმა წონებმა ცოტა არ იყოს, დამაბნია. როდესაც ისეთი გამოცდილი და სახელოვანი მწვრთნელი, როგორიც დავით რიგერტია, ატაცში მაქსიმალურად დიდ საწყის წონას უკვეთავს, რა უფლება მაქვს, ვიფიქრო, რომ ცდება. ის ხომ, გარდა იმისა, რომ კარგი მწვრთნელია, დიდი სპორტსმენიც იყო — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი და ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი. რატომ უნდა გეგონოს, რომ ასეთი ადამიანი არასწორად იქცევა და ელემენტარულ შეცდომას უშვებს? ამ შემთხვევაში ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ისინი მზად არიან ასეთი წონის ასაწევად. მაგრამ როცა მისი სპორტსმენის პირველი მისვლა ვნახე, მაშინვე მივხვდი, რომ აქ ბევრი ისეთი რამ მოხდებოდა, რაც მთლიანად აურევდა სიტუაციას.

ჩვენ ამ პროვოკაციას არ ავყევით და ტაქტიკური ბრძოლა დინჯად, პანიკის გარეშე განვაგრძეთ“.

ბოლო ხანებში გადატანილმა ტრავმებმა, გიორგი ასანიძეს საშუალება არ მისცა სრულყოფილად მომზადებულიყო და ვარჯიშებზე საცდელი წონები დაეძლია. ჩეხანოვში ყოფნისას მან მხოლოდ ერთხელ აიტაცა 175 და ერთხელაც 200 აკრა. მაგრამ ფიზიკურად კარგად იყო, ძალასაც გრძნობდა და სჯეროდა, რომ ოლიმპიურ ტურნირზე 180-ს თუ არა 177,5-ს მაინც აიტაცებდა.

ასეც მოხდა. საწყისი წონის (172,5) შემდეგ გიორგიმ 177,5 აიღო, მაგრამ 180-კილოგრამიან შტანგას ვერაფერი მოუხერხა. სამაგიეროდ ბელარუსმა რიბაკოვმა დაძლია 180.

რიბაკოვმა შეჯიბრება მეორე ჯგუფიდან დაიწყო და ისეთი წარმატებით იასპარეზა, რომ სულ მალე ფავორიტებში მოხვდა. ფავორიტებად კი ძირითადად სამი ძალოსანი გამოიკვეთა: ასანიძე, დიმასი და რიბაკოვი.

როცა ბელარუსმა 180 აიტაცა, ტურნირის ბევრმა მონაწილემ ძალაუნებურად ყურადღება მასზე გადაიტანა. მოეჩვენათ, რომ ამ ფიცარნაგზე მთავარი როლის შემსრულებელი სწორედ ის იყო. რიბაკოვი 84,580 კილოგრამს იწონიდა და ყოველი გამოსვლის შემდეგ მისი კონკურენტები ორთქლის აბანოში გარბოდნენ, რომ წონა დაეკლოთ. ბევრი ამან ძალიან აზარალა, რადგან აკვრის დროს ძალა არ ეყოთ და შეჯიბრებას გამოეთიშნენ.


კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ფიცარნაგზე პირველი პიროს დიმასი გამოდიოდა.


ვანო გრიქუროვი: „ბერძნები კენჭისყრაში უხეშად და უტაქტოდ ერევიან. ისინი ყოველთვის ცდილობენ, რამენაირად ისე მოაწყონ, რომ მათი სპორტსმენი ბოლოსკენ გამოვიდეს. ადრეც ასე იყო — ჩვენ თუ მეხუთეები ვიყავით, ისინი მეექვსედ გამოსვლას ცდილობდნენ, ხოლო თუ ბედი გაგვიღიმებდა და მეშვიდე ნომერი შეგვხვდებოდა, უსათუოდ მერვეს ჩაანყობდნენ. ერთი სიტყვით სულ მუდამ იმას ჩაღირობდნენ, ჩვენს შემდეგ ყოფილიყვნენ და ამით თავიდანვე გარკვეული ფორა მოეპოვებინათ. ასე იყო ევროპისა და მსოფლიოს ყველა ჩემპიონატზე, მაგრამ ახლა ასე აღარ მოხდა — კენჭისყრის მიხედვით დიმასი ფიცარნაგზე პირველი გამოდიოდა და, მართალი გითხრათ, ამან ძალიან დამაეჭვა. სხვაგან, სხვა ქვეყნებში აწყობდნენ და რანაირად მოხდა, რომ შინ, ათენში ვერაფერი მოახერხეს? რალაც მაგარ ბლეფს ჰგავდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ მივხვდი: მათ დიმასის იმედი აღარ ჰქონდათ. დიმასი დამთავრდა, მას აღარ შეეძლო გიორგისთვის მეტოქეობა გაენია და ბერძნებმა ეს მშვენივრად იცოდნენ. სამაგიეროდ ერთი



ათენის ოლიმპიადაზე, კრიტიკულ მომენტში, როცა გიორგი ასანიძეს თავისი პოზიციები ოქროს მედლისთვის ბრძოლაში მტკიცედ უნდა გაემყარებინა, ფიცარნაგის ერთ-ერთმა მოსამსახურემ, შტანგის ღერძი წყლით დაასველა (ვითომ წმენდდა), ასანიძეს ღერძი ხელიდან გაუსხლტა და კინალამ დაშავდა. მწვრთნელმა და ექიმმა ყველას აჩვენეს გიორგის ხელისგული, სადაც აშკარად ჩანდა წყლის კვალი მაგნეზიაზე. ორგანიზატორებმა და საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმა ამ უმსგავსოების გამო ბოდიში მოიხადეს





გიორგი ასანიძე:
„ოლიმპიური ოქროს
მედალი იმ მრავალი
წლის შრომის შედეგია,
რომელიც მე და ჩემ-
მა მწვრთნელმა, ვანო
გრიჭუროვმა გავწიეთ.
პირველ რიგში, სწორედ
მას ვულოცავ, რადგან
ჩემი ეს წარმატება მისი
დიდი დამსახურებაა.“

გიორგი ასანიძემ სძლია მრისხანე მეტოქეებს, რკინის უსულო შტანგას, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარ თავს და იმ მწვერვალზე ავიდა, საიდანაც ყველაფერი სულ სხვანაირად მოჩანს. სხვანაირია იქიდან დანახული სამყარო და, რაც მთავარია, საკუთარი თავი, რადგან უდიდეს გამარჯვებას მუდამ თან ახლავს სულიერი კათარზისი და ყველა ოლიმპიური ჩემპიონი, როგორც ნესი, უკვე სხვა ადამიანია.







გიორგი ასანიძე:
 «ურთულესი ბრძოლა იყო. სამეზობლო ოლიმპიური ჩემპიონი პიროს დიმასი იოლი დასამარცხებელი არ გახლავთ, განსაკუთრებით, საბერძნეთში. ამ ბრძოლის მოგება სწორად შერჩეული ტაქტიკის შედეგია. მე და ჩემმა მწვრთნელმა წინა ოლიმპიადის მწარე გამოცდილებიდან სათანადო დასაკვნები გამოვიტანეთ.»



ახალგაზრდა ბიჭი ჰყავდათ — მარკოულასი, რომელიც კენჭისყრით სულ ბოლოს უნდა გამოსულიყო — აი, რა ჩაანყეს! ეს ბერძნების შორსგამიზნული, ფარული ტაქტიკა იყო.

ჩემი ინფორმაციით, მარკოულასი ვარჯიშზე 180-ს იტაცებდა და 217-ს კრავდა. ამრიგად, ორჭიდის ჯამში 397 კილოგრამს აგროვებდა, რაც უდავოდ ძალიან დიდი შედეგია. როგორც ჩანს, ჩვენგან განსხვავებით, ბერძენი მწვრთნელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მეტი შანსი სწორედ ამ სპორტსმენს ჰქონდა, ამიტომ დიმასი ერთგვარ „პეისმეიკერად“ გამოიყენეს და წინ გაუშვეს, რათა მას დანარჩენი ფავორიტები, განსაკუთრებით ასანიძე, თან „გაეთრია“, მარკოულასს კი უკნიდან წყნარად შეეცია.

ეს რომ გავშიფრე, მაშინვე დავმშვიდდი, რადგან რაც იცი, ის საშიში აღარ არის. გარდა ამისა, მე მათი ერთი საიდუმლოც ვიცოდი: ბერძენი და თურქი ძალოსნები, როგორც წესი, ვარჯიშის დროს „ლამკებს“, ანუ თასმებს ხმარობენ, განსაკუთრებით ატაცისას. ჩვენ კი თასმების გარეშე ვვარჯიშობთ, რადგან ვცდილობ ხოლმე ვარჯიშზეც დაახლოებით ისეთივე პირობები შევქმნა, როგორიც ოფიციალურ შეჯიბრებებზეა. ერთხელ ამის შესახებ კახი კახიაშვილსაც ვკითხე და მითხრა — რას ამბობ, ეგენი „ლამკების“ გარეშე შტანგას ახლოს არ ეკარებიანო.

მარკოულასი რომ ოლიმპიურ ტურნირზე ჩაფლავდა, რა თქმა უნდა, მარტო იმ თასმების ბრალი არ იყო, ძირითადი მიზეზი მაინც მისი გამოუცდელიობა გახლდათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თასმებმაც თავისებურად იმუშავეს“.

დიმასმა ატაცი 170,0-იდან დაიწყო, მერე 5 კილოგრამი დაამატებინა, მაგრამ პირველ ცდაზე ვერ აიღო და ეს წონა — 175,0 მხოლოდ მეორე ცდაზე დაძლია.

ჩინელმა იუანმა ჯერ 167,5 აიტაცა, მერე — 170 და იქვე გაჩერდა, რადგან სხვა ვერაფერი მოახერხა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მა-

ინც სერიოზულ და საშიშ მეტოქედ ითვლებოდა. ჩინელი სპორტსმენი აკვრაში უფრო ძლიერი იყო ვიდრე ატაცში — ყველას კარგად ახსოვდა, რომ ვანკუვერის მსოფლიო ჩემპიონატზე მან ძალიან იოლად აკრა 212,0 კილოგრამი.

ატაცი დამთავრდა. ტურნირის ფავორიტებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: ანდრეი რიბაკოვი — 180კგ.

გიორგი ასანიძე — 177,5.

პიროს დიმასი — 175,0.

აქ გიორგის ერთი ფათერაკი უნდა გავიხსენოთ. იმ დღეებში გაზეთი „ლელო“ წერდა: „სპორტი, მით უმეტეს, ოლიმპიური, მოგეხსენებათ, პატიოსან თამაშებს ქადაგებს. მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება არა მხოლოდ დოპინგის გამოყენების ფაქტები, არამედ არის მსაჯთა მოსყიდვის შემთხვევები და სხვა გასაიდუმლოებელი ქმედებები. არც კი ვიცით, რას მივანეროთ, უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, ის უსინდისობა, რაც ძალოსანთა ტურნირზე ჩაიდინეს მასპინძლებმა. კრიტიკულ მომენტში, როცა გიორგი ასანიძეს თავისი პოზიციები ოქროს მედლისთვის ბრძოლაში მტკიცედ უნდა გაემყარებინა, ფიცარნაგის ერთ-ერთმა მოსამსახურემ, შტანგის ლერძი წყლით დაასველა (ვითომ წმენდდა), ასანიძეს ლერძი ხელიდან გაუსხლტა და კინალამ დაშავდა. მწვრთნელმა და ექიმმა ყველას აჩვენეს გიორგის ხელისგული, სადაც აშკარად ჩანდა წყლის კვალი მაგნეზიაზე. ორგანიზატორებმა და საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმა ამ უმსგავსობის გამო ბოდიში მოიხადეს“.

ბოდიში კი მოიხადეს, მაგრამ ბოლო ცდა გაცუდდა და 180-ის ნაცვლად წინა შედეგი — 177,5 დაფიქსირდა.

შესვენების შემდეგ აკვრა დაიწყო. ფიცარნაგზე პირველი დიმასი გამოვიდა. მან 202,5 თავიდანვე აიღო, მაგრამ მერე ხელი მოეცარა — 205,0 ვერ დაძლია, ბოლოს კი 207-საც ვერაფერი მოუხერხა და ორჭიდის ჯამში, საბოლოოდ, 377,5 კილოგრამს დასჯერდა.

რიბაკოვმა 195-იდან დაიწყო და 200-ზე გაჩერდა, რადგან 202,5 ვერ ასწია. თუმცა ორჭიდის ჯამში (380,0) მან სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ პიროს დიმასს 2,5 კილოგრამით გაუსწრო.

ბერძნებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. განზილებული მაყურებლები ხმას ველარ იღებდნენ, არადა, ყველაფერი წინ იყო — ჯერ ხომ ასანიძეს არ დაეფიქსირებინა თავისი საბოლოო შედეგი.

გიორგიმ სწორედ იმ წონით დაიწყო, რომლითაც დიმასმა დაამთავრა — 202,5-ით. შემდეგ 205,0-იც აიღო და ჯამში 382,5 კილოგრამი დააგროვა. ეს შედეგი კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქართველი ათლეტი ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გამხდარიყო.

თუმცა, მანამდე ჩვენმა დელეგაციამ საკმარისად ინერვიულა, რადგან ჩინელმა იუანმა 215-იან შტანგაზე გადაწყვიტა მისვლა. ეს წონა რომ აეღო, იგი ასანიძეს, ორჭიდის ჯამში, 2,5 კილოგრამით აჯობებდა და ოლიმპიურ ოქროსაც, რომ იტყვიან, ზედ ცხვირწინ ააცლიდა, მაგრამ იმჯერად ჩინელს არ გაუმართლა.

სამაგიეროდ, გაუმართლა ასანიძეს. მან ათენში, ზვიადაურის შემდეგ, საქართველოს კიდევ ერთი ოლიმპიური ოქროს მედალი შესძინა.

ვანო გრიქუროვი: „მთელი ბრძოლა ტაქტიკურად სწორად წარვმართეთ. შეიძლება ითქვას, რომ შეცდომა არ დაგვიშვია. გიორგის გამარჯვებაც სწორედ ამან განაპირობა“.

ზურაბ კახაბრიშვილი (ექიმი): „მწვრთნელი მართლაც ყველაფერს ზუსტად აკონტროლებდა. როცა დიმასმა 207 შეუკვეთა, ვანო გიორგის მიუბრუნდა და უთხრა, მოემზადე, შეიძლება 210-ზე მოგინოს მისვლამო. ჩვენდა საბედნიეროდ, ბერძენმა ის წონა ვერ დაძლია“.

ვანო გრიქუროვი: „არა, დიმასს უკვე აღარაფერი შეეძლო. საშინლად გამოფიტული იყო. ბევრი ტრავმა ჰქონდა, თითქმის მთელი თვე დაკარგა, არ უვარჯიშია. იმ ტურნირზე ჩინელი უფრო საშიში მეგო-

ნა. სულ იმას ვფიქრობდი, რომ მისთვის რაც შეიძლება მეტი მოგვეგო ატაცში, რადგან აკვრაში ძალიან ძლიერია. მართალია, კარგად დავ-
წინაურდით, მაგრამ მაინც მეცოტავებოდა, დარწმუნებული ვიყავი,
სულ ცოტა 12,5-კილოგრამიანი ფორა მაინც გვჭირდებოდა. თან გი-
ორგიზე მჩატეც იყო. კიდევ კარგი, ის 215 ვერ აიღო. ძლიერი იყო რუ-
მინელი კალანციაც, მაგრამ იგი ტურნირს ტრავმის გამო გამოეთიშა.
ისე, რომ სამი კაცის გარდა, ფაქტიურად, ყველა ჩვენი პოტენციური
მეტოქე გახლდათ.

შეჯიბრებამდე თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე გავაკეთე ანა-
ლიზი — რა შესაძლებლობები ჰქონდათ მათ და რა პასუხის გაცემა
შეგვეძლო ჩვენ. ეს საკმაოდ რთული და დამლელი პრცესია. არ და-
გიმაღავთ და გეტყვით, რომ ბოლო ორი თვის მანძილზე გია ასანიძე
ოლიმპიურ ფიცარნაგზე, სულ ცოტა, ათასჯერ მაინც მყავდა გამოყ-
ვანილი. ეს სადამოობით ხდებოდა, როცა დაწვებოდი და ძილგამ-
ფრთხალი მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი.

ჩვენი უმთავრესი მეტოქე კი გიორგის ტრავმები გახლდათ.
რაც ბოლო სამი თვის მანძილზე დაემართა, მარტო ის კმარა: ჯერ
ერთი ფეხი, მერე — მეორე. მარცხენა რომ მოუშუშდა, ორი კვი-
რის მერე ტკივილი ისევ განუახლდა. მერე ტურნირზე გამოვიდა
სოკოლოვოში და იქაც ეტკინა. მოკლედ, საშუალება არ მოგვეცა,
სრულყოფილად მოვმზადებულიყავით. რაც გიორგიმ ათენში ას-
ნია, ის წონები ვარჯიშზე ერთხელაც არ აუნეცია. სოკოლოვოში
მინდოდა, რომ 177 მოესინჯა, მაგრამ ფეხის ტრავმის გამო ეს ვერ
მოვახერხეთ.“

გიორგი ასანიძე: „ვიცოდი, რომ ურთულესი ბრძოლის გადატანა
მომინევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამარჯვებაში დარწმუნებუ-
ლი ვიყავი. თუკი საკუთარ თავში ეჭვი შეგეპარა, ვერაფერს მიაღწევ-
არადა, მაგარი მეტოქეები მყავდა. ძალიან კარგი თაობა წამოვიდა და
მათთან წიდილი რთული იყო. ამიტომ მე და ჩემმა მწვრთნელმა ისეთი

გიორგი ასანიძე:
 „ვიცი, რომ ურთულესი
 ბრძოლის გადატანა მომი-
 ნევდა, მაგრამ, მიუსდებ-
 ვად ამისა, გამარჯვებაში
 დარწმუნებული ვიყავი.
 თუკი საკუთარ თავში
 ეჭვი შეგეპარა, ვერაფერს
 მიაღწევ. არადა, მაგარი
 მეტოქეები მყავდა. ძალიან
 კარგი თაობა წამოვიდა და
 მათთან ჭიდილი რთული
 იყო. ამიტომ მე და ჩემმა
 მწვრთნელმა ისეთი ტაქ-
 ტიკა შევიმუშავეთ, რომ
 შეცდომის ალბათობა
 მინიმუმამდე დავიყვანეთ.“





ტაქტიკა შევიმუშავეთ, რომ შეცდომის ალბათობა მინიმუმამდე დავიყვანეთ. მით უმეტეს, რომ ამის მწარე გამოცდილება უკვე გვქონდა. წინა ოლომპიადაზე ხომ სათანადოდ ვერ გავთვალეთ და ამის გამო დავკარგე ოქროს მედალი — მე რომ მაშინ ატაცი 177,5-ით დამენყო, გამარჯვება გარანტირებული მქონდა. ახლა კი, როდესაც ჩინელმა ძალოსანმა 215 კილოგრამი შეუკვეთა, უკვე მივხვდი, რომ ჩემპიონი ვხდებოდი — დარწმუნებული ვიყავი, იუანი ამ წონას ვერ დაძლევა. მართლაც ასე მოხდა“.

ზურაბ კახაბრიშვილი: „ჩინელი რომ 215-ზე მივიდა, ძალიან შეეშინდი. რაც მე იმას გუნებაში ვეხვეწე, რა ვიცი! — არ აწიო, შენი ჭირი-მე, ეს მედალი გიოსია, თავი დაანებე-მეთქი. მაგრამ პირველად რომ ვერ აკრა, დავრწმუნდი, ამას მეორედაც ვერ მოახერხებდა. ფსიქოლოგიური მომენტი: ან იღებ ოქროს, ან — ვერაფერს, ამ ბარიერის დაძლევა კი ძალიან დიდ მომზადებას მოითხოვს. ჩინელმა ეს ბარიერი ვერ დაძლია. შეჯიბრების დროს, გიორგის თხოვნით, მე ისევ ის ყვითელი მაისური ჩავიცვი, რომელიც ზვიადაურის ფინალური ბრძოლისას მეცვა (სიცილით). მე მგონი, ამანაც გაჭრა“.

* * *

ფიცარნაგზე თავისთავად, მაგრამ გიორგიმ განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა შეჯიბრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზეც. თავის გონივრული და საკმაოდ დიპლომატიური პასუხებით მან აღტაცებაში მოიყვანა ქართველი და უცხოელი ჟურნალისტები.

შეკითხვა: „მიუხედავად უამრავი ტრავმებისა და გადატანილი ქირურგიული ოპერაციებისა, თქვენ დღეს სანუკვარ მიზანს მიაღწიეთ და ოლიმპიური ჩემპიონი გახდით. რას გრძნობთ ახლა, აი, ამ წუთებში?“



პასუხი: „რა თქმა უნდა, გახარებული ვარ. ეს ოქროს მედალი იმ მრავალი წლის შრომის შედეგია, რომელიც მე და ჩემმა მწვრთნელმა, ვანო გრიქუროვმა გავწიეთ. პირველ რიგში, სწორედ მას ვულოცავ, რადგან ჩემი ეს წარმატება მისი დიდი დამსახურებაა.“

შეკითხვა: „მინდა მოგილოცოთ დიდი გამარჯვება. თქვენ დღეს დაამარცხეთ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი პიროს დიმასი და თანაც დაამარცხეთ საკუთარ სამშობლოში. რას უნდა მივანეროთ ეს, რამ განაპირობა თქვენი გამარჯვება — რაღაც კონკრეტულმა ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა თუ კიდევ სხვა რამემ?“

პასუხი: „ურთულესი ბრძოლა იყო, რადგან სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი პიროს დიმასი იოლი დასამარცხებელი არ გახლავთ, განსაკუთრებით, საბერძნეთში. ამ ბრძოლის მოგება სწორად შერჩეული ტაქტიკის შედეგია. მე და ჩემმა მწვრთნელმა წინა ოლიმპიადის მწარე გამოცდილებიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ. დიმასი უდიდესი სპორტსმენია. მას სულ ცოტა დააკლდა იმისათვის, რომ მეოთხე ოლიმპიური ოქრო აეღო. ყველამ კარგად იცის, რას ნიშნავს ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონობა, მით უმეტეს, ძალოსნობაში. მაგრამ იღბალი დღეს ჩემს მხარეს იყო და ალბათ ამიტომაც, გავიმარჯვე. კმაყოფილი ვარ, რომ შრომა დამიფასდა.“

შეკითხვა: „რას გვეტყვით დოპინგის შესახებ. რატომ არის სპორტის ამ სახეობაში მსგავსი შემთხვევები?“

პასუხი: „მე რაც შემეხება, ხმამაღლა უნდა განვაცხადო, რომ ახალგაზრდულ შეცდომებს აღარ გავიმეორებ. ეს პატიოსანი ქართული სიტყვაა. დოპინგთან ბრძოლა საჭირო და აუცილებელია, ამიტომ მე ამ ბრძოლას მივესალმები. თუკი ამისაგან არა მხოლოდ ძალოსნობა, არამედ სპორტის ყველა სხვა სახეობაც გასუფთავდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობის ჯანმრთელობისთვის, უპირატესობა სპორტში ჩვენ, კავკასიელებს გვექნება.“

შეკითხვა: „რას იტყვით ამჟამად უკვე ბრინჯაოს მედალოსან პიროს დიმასზე?“

პასუხი: „პიროს დიმასი ბრინჯაოს მედალოსანი კი არა, ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონია.“

ამ პასუხმა პრესცენტრში ჟურნალისტთა და იქ დამსწრე სპორტსმენთა საერთო აღტაცება გამოიწვია, რაც მათ მქუხარე ტაშით გამოხატეს. თვითონ დიმასმა კი გიორგის ხელი ჩამოართვა და ასეთი თავაზიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

* * *

ოლიმპიადის შემდეგ ერთი შეკითხვა ამეკვიატა: სად უფრო უკეთ იყო გიორგი ასანიძე მომზადებული — სიდნეიში თუ ათენში? ამიტომ, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, ეს შეკითხვა მის მწვრთნელსაც დავუსვი.

ვანო გრიქუროვი: „რა თქმა უნდა, სიდნეიში, მაგრამ იქ გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგეები გვყავდა, ვიდრე ათენში. უნდა გამოვტყდე, რომ სიდნეის ოლიმპიადაზე გიორგი ასანიძის წარუმატებლობაში მეც ერთგვარი დანაშაული მიმიძღვის. ოლიმპიადაზე მოსაგებად უნდა ნახვიდე და არა მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად. მაშინ ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა გადამეტებული თავდაჯერებულობა გახლდათ. იმდენად კარგად ვიყავით მომზადებულები, რომ მარტო გამარჯვებასა და ოლიმპიური ოქროს მოპოვებაზე კი არ ვფიქრობდით, არამედ უფრო მეტზე — გვინდოდა სამი თუ არა, მსოფლიოს ორი რეკორდი მაინც დაგვემყარებინა. ამიტომაც იყო, რომ არასწორად დავინწყეთ და სანყისი წონებიც არასწორად დავგეგმეთ.“

სიდნეის ოლიმპიადაზე ამ მეტისმეტი თავდაჯერებულობის გამო მოგვეცარა ხელი. ათენში კი ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა უარესი შეცდომები დაუშვეს. მგონი ადრეც გითხარით, რომ ყველაზე მნიშ-



ზურაბ ზვიადაური,
დავით გობეჯიშვილი
და გიორგი ასანიძე

ვნელოვანი ამბები კულისებში ხდება და არა ფიცარნაგზე. იქ არის ნერვებისა და მწვრთნელთა ინტელექტის შეჯიბრი, იქ იმარჯვებს ის, ვისაც საუკეთესო ინტუიცია აქვს და ვინც უფრო შორსმხედველია. ამასთან ძალზე მნიშვნელოვანია ილბალიცა და ისიც, თუ ვინ უფრო უკეთ იცნობს საკუთარი სპორტსმენის ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობებს.“

* * *

ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდეს, ამისთვის მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება არ კმარა, უმთავრესი მაინც ადამიანის ხასიათია. ძველ საბრძნეთში ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვე-



*ძველი და ახალი ჩემპიონი
— რაფაელ ჩიმიშკიანი და
გიორგი ასანიძე*

ბულ სპორტსმენებს ძეგლებს უდგამდნენ, რითაც პატივს მიაგებდნენ იმ ადამიანს, ვინც არა მხოლოდ მონინაალმდეგეს სძლია, არამედ საკუთარ თავსაც აჯობა და ეს განსაკუთრებული ნიჭისა და გამორჩეული ხასიათის ნყალობით შესძლო.

მაინც როგორია ის პიროვნული ხასიათი, რამაც გიორგი ასანიძეს ოლიმპიური მწვერვალი დააპყრობინა? რა მოტივაციამ განაპირობა მისი ასეთი წარმატება? იქნებ იმან, რომ სანამ ვანო გრიქუროვთან მოხვდებოდა, მისი პერსპექტივა არავინ ირწმუნა, ყველამ დაინუნა, სათანადო ყურადღება არავინ მიაქცია. იქნებ, სწორედ მათ ჯიბრზე მოიწადინა, გულში ბოღმა ჩაიდო და შურისძიების ეს გრძნობა საბოლოოდ ხასიათად გადაექცა? ვინ იცის ეს ყველაზე უკეთ, თუ არა მისმა მწვრთნელმა, რომელმაც გიორგი ასანიძეს შეუძლებელი შეაძლებინა...

**გიორგი ასანიძე
და ირაკლი ცირეკიძე
პეკინის ოლიმპიურ
სოფელში**



ვანო გრიქუროვი: „უკვე რამდენიმე წელია, რაც მე და გიო ერთმანეთს დავშორდით. მე ისევ პოლონეთში ვმუშაობ, ის საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა და პოლიტიკაში წავიდა. მე არ მინდა, რომ ამ თემას შევეხო, ამიტომ მხოლოდ ერთს ვიტყვი: გიორგის წარმატება ჯობრმა და შურისძიების გრძნობამ კი არა, სიკეთემ და სიყვარულმა განაპირობა. სიყვარულმა სამშობლოს მიმართ, ოჯახის მიმართ, აგრეთვე მწვრთნელის პატივისცემამ და მისდამი ფანატიურმა ერთგულებამ. ერთხელ თუ ვინმეს მიენდო, მას აღარასოდეს უღალატებს და ბოლომდე მისი ერთგული დარჩება.“

გიორგი საოცრად კეთილი და, ამავე დროს, პატიოსანი კაცია. შეიძლება უცებ რალაცაზე საშინლად გაბრაზდეს, დენთივით იფეთქოს, მაგრამ ეს უმალ ავინწყდება და ხშირად ნანობს ხოლმე ასეთ გაფიცხებას.

მართალი გითხრათ, იმდენად თბილი და საყვარელი ადამიანია, არც კი ვიცი, ვის შევადარო.“

* * *

ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა გიორგი ასანიძის მწვრთნელს ინტერვიუ ჩამოართვა. იგი გაოცებული წერდა: ვანო გრიქუროვის მოღვაწეობის პერიოდში, მთელ საქართველოში სულ რაღაც ხუთიოდე ჟანგიანი შტანგა ჰქონდათ, ძალოსნობაში მხოლოდ 23 კაცი ვარჯიშობდა და 3 თუ 4 უხელფასო მწვრთნელი მუშაობდა. არც წყალი იყო, არც შუქი და არც გათბობა, მაგრამ, მიუხედავად ასეთი წარმოუდგენელი პირობებისა, ამ ქვეყანაში ორი ოლიმპიური ჩემპიონი გაიზარდაო.

სწორედ ასევე იყო გაოცებული ყველა მაშინაც, როცა ცხონებული ომარ ფხაკაძე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, რადგან მის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში, სადაც მან პირველად დაიწყო ვარჯიში, ველოტრეკი საერთოდ არ არსებობდა.

„ქართული პარადოქსი“, — ასე დაასათაურა ის ინტერვიუ ამერიკელმა ჟურნალისტმა.

მართლაც რომ საკვირველი პარადოქსია.

გიორგი ასანიძე

დაიბადა 1975 წლის 30 აგვისტოს საჩხერეში. ძალოსანი (77 და 85 კგ). XXVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (2004, ათენი), XXVII ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (2000, სიდნეი). საუკეთესო შედეგი სამმა ძალოსანმა აჩვენა. მათ შორის მედლები პირადი წონის მიხედვით განაწილდა, სამეულში კი ყველაზე მძიმე ქართველი სპორტსმენი აღმოჩნდა). მსოფლიოს ჩემპიონი (2001) და მეორე პრიზიორი (2002), ევროპის სამგზის ჩემპიონი (2000, 01, 02) და მეორე პრიზიორი (1998). მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1995). ატაცში დამყარებული აქვს ორი მსოფლიო რეკორდი: 168 კგ (77 კგ კატეგორიაში, 1998) და 181 კგ (85 კგ კატეგორიაში, 2000). ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენებისა და ღირსების ორდენის კავალერი.



GIORGI ASANIDZE

Weight-lifter (77 kg and 85 kg), was born on August 30, 1975 in Sachkhere. He is a champion of XXVIII Olympic Games (Athens 2004) and bronze medalist of XXVII Olympics in Sydney (2000) where three weight-lifters showed the best results and medals were distributed among them according to their weights. Asanidze turned out to be the heaviest among the three. He was the world champion in 2001 and silver medalist in 2002, three-time champion of Europe (2000, 2001, and 2002) and bronze medalist in 1998. Asanidze was the world champion among the youth (1995). He held two world records in jerk – 168 kg (in 77 kg. weight category, 1998) and 181 kg. (in 85 kg. weight category, 2000). He is decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd and 3rd classes and with Order of Honor.